



Հայաստան

Երևան -

Գրասենյակ

1. Ներքին գործեր
2. ՀՀ Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
3. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
4. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
5. ՀՀ Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
6. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
7. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
8. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
9. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն
10. Կառավարության կազմակերպչական գործառնականություն

1630 1630

6-36/800

2350 10/2/71



ასალი ქალაგება

თარგმანი

პ. მარტყოფელიძე.

გამოცემა „გუთისა“ № 8.



თბილისი.

ელექტრომბეჭდავი მ. ხელაძისა, სოლოლ., პასკევიჩის ქ. № 3.

1906.

4397

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 апрѣля 1906 г.

ახალი ქაღაბეზა

ახალი ქალაქება

ბრწყინვალე მზე თავის შუქ-მომღენ სხივებით შალლიდან დასცქეროდა დედამიწას და სტკბებოდა. ან-კი როგორ არ უნდა დამტკბარიყო: დაბურული ტყეები, მშვენიერი მობიბინე მინდორ-ველი, მხიარული ქალები, ცისფერად მოჩუხჩუხე მდინარეები, — ყველა ეს ამშვენიერებდა, ამკობდა დედამიწას, ქვეყნიერებას. შორს აბიბინებულ მინდორ-ველის სივრცეში, მოსჩანდა წითლად მოელვარე ნაზი ყაყაჩო და ჩუმის ნიავის ნავარდისაგან ოდნავ შენძრეული ფერად-ფერადი, მშვენიერების სავსე, სულწინფლოვანი ყვავილები... მდინარეების ყურეებს ამაყად დასცქეროდნენ ხეები, რომელთა ქვეშაც მწვანედ ბიბინებდა ბალახი... ქალაში სიცხისა გამო ბუღბუღი მისუსტებულები და მოუთმენლად ელოდა გრილ საღამოს, რომ ტკბილის სტვენით შეემკო ბუნება და მოეხიბლა ყველა სულდგმულის გული და გონება. მკვირცხლი თევზი, თავისუფლებით გახარებული, შვებას მისცემოდა, თავისებურად დასრიალებდა წყალში და ხანდისხან, მეტის-მეტ

სიამოვნების ნიშნად, ზევით ამოიფორთხალებდა ხოლმე.

ამ მშვენიერებით სტკბებოდა და ხარობდა ციდან ბუნების მაცოცხლებელი მნათობი, ბრწყინვალე მზე.

მაგრამ ნათელ დღეს, საღამოს ბინდ-ბუნდი ეპარებოდა და რამდენადაც მზე ცის სივრცეში დასავლეთისკენ მიცურავდა, იმდენად ეკარგებოდა ძალა და მშვენიერება.

ამ ბინდის მოახლოვებამ დაანახვა მზეს უზარმაზარი, უმზგავსი, აგურებისაგან აშენებული ქარხნები. მაღალ ისრებივით სწორ საკვამლებიდან კუნაპეტივით შავი ბოლი ამოდიოდა. იქვე—თვალი მოჰკრა შავ ლორღს და ქვა-ნახშირის გროვას, მიწაში სოროსავით გამოთხრილ მადნებიდან ამოღებულს. შავი გროვა თანდათან იზრდებოდა. დაინახა მზემ აგრეთვე ხალხი—მუშა ხალხი. ყველა გამურული, გამჭვარტლიანებული იყო, ყველას დაფხრეწილი ტანისამოსი ეცვა. დაფუსფუსებდნენ სიცხისაგან შეწუხებულნი, ღონე მიხდილნი, დაღონებულ-დაძმარებულნი. აი ეს სურათი იყო, რომ აუშნობდა ბუნებას, ღვთის ქმნილებას...

უცბად გაისმა საყვირის ხმა ქარხნებსა, სახელოსნოებსა და მაღაროებიდან. ეს ხმა სხვა-და-სხვა ჰანგზე გასძახოდა. ისმოდა სტვენა, ჟღერა, ჰყვიო-

ლო და ეს გაუთავებელი ღრიანტელი ყველას ყურებს უჭედავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქვა-ნახშირის მალაროებიდან, სახელოსნოებისა და ქარხნების ალაყაფის კარებიდან ჯგუფ-ჯგუფად იწყეს შინისაკენ დენა დაღლილმა მუშებმა. სოფლელებიც თავს ანებებდნენ მინდორში მუშაობას და დასასვენებლად შინისაკენ მიეშურებოდნენ. ყველას სახეს დაღლილობა და დაქანცულობა ეტყობოდა, ყველა გამხდარი და დაუძლურებული იყო. ერთგვარ და მოსაბეზრებელ მუშაობას, მუდამ დღე ოფლის ღვრას თავისი ბეჭედი დაესვა ამათთვის. მათ შორის იყვნენ ჭკუითა და ნიჭით სავსენიც, რომელთაც ბედმა ტანჯვა-წვალება და უუფლებობა არგუნა.

ამ გულ-საკლავმა სურათმა, ხალხის სიღარიბემ, მონობამ და დამცირებამ მზეს გული მოუკლა, შერცხვა კიდევ: იგი ძალზე გაწითლდა, მერე მარდად ჩაისრიალა და ამოეთარა ერთ მაღალ მთას.

ყოველსავე ამას, მზეს გარდა, თვალ-ყურს ადევნებდა ერთი უცხო ადამიანი, რომელმაც დიდებულ მზესთან ერთად იგრძნო სიმწარე ხალხისა და დანაკლისი ბუნებისა. მას ეცვა შავი, ძველი ანაფორა და თავზე ეხურა სკუფია, მხარზე ეკიდა ცარიელი სახლთაგუდა. გამხდარი და სიარულისაგან მოქანცული, იგი მთლად მტვერში იყო გახვეული. ალბად სალოცავად თუ დადიოდა წმინდა ადგილებ-

ში სხვის და თავის ცოდვების მოსანანიებლად. იმისი კეთილი თვალები სიყვარულით ბრწყინავდა, თუმცა ამ სიყვარულს მწუხარებაც ეტყობოდა. გზაში ბევრისაგან გაუგონია უშვერის ლექსით ლანძღვა-გინება, რაც გულს უწყლულებდა და ეკალივით ესობოდა. ჰგონებდა, რომ ასეთის სიტყვებით ისინი გულის ბოლმას იკლავდნენ, რომ ცხოვრების მძიმე უღელმა გაჰხადა ასეთებად. წრფელის გულით სურდა რითიმე ეშველნა ამგვარ ხალხისთვის და შეუდგა კიდევ შველას ერთად-ერთ საშუალებით, რომელიც მან იცოდა.

უცნობი ავიდა პატარა გორაკზე და აღელვებულმა აკანკალებულის ხმით, მიჰმართა მიმავალთ:

— „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ ქვენ“, ასე ჰრქვა უფალმა. შესდექით ყველანი, ვისაც კი დაქდებული აქვს გაღელილ გულზე და დაკარძებულ ხელზე და უღალავი შრომა და ვისაც სახლშიაც კი არ მოვლის დასვენება და მხიარულება, რამეთუ იქ სიღარიბე და ნაკლებობაა... შესდექით და ჰპოვებთ სიმშვიდეს ღვთის სიტყვაში.

ხალხმა ნელ-ნელა თავი მოიყარა უცნობ მქადაგებლის წინაშე. ყველა გულდასმით უსმენდა იმის ლაპარაკს. იგი არიგებდა შეკრებილთ და ეუბნებოდა, რომ ხალხის დასახსნელად და ამ ქვეყნის ურ-

ჩობის ასალაგმავად არ არის სხვა გზა, გარდა მოთმინებისა და მორჩილებისა.

— ნეტარ—იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

— ნეტარ-იყვნენ მგლოვარნი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ.

— ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა...

იმისი დამტვრეული, მაგრამ სიყვარულით და რწმენით აღსავსე ხმა ყველას გულს ჰხვდებოდა და იმორჩილებდა. ხალხი თანდათან მატულობდა. ისმობდა გულის სიღრმიდან ამონაკვნესი ოხვრა, ლმობიერი ჩურჩული დედა-კაცებისა, და თუ გულდასმით დააკვირდებოდით, აქა-იქ ზოგიერთა თვალებში ცრემლებსაც დაინახავდით.

მქადაგებელი გაჩუმდა, მერე დაიჩოქა და, ზეცისკენ ხელებ აპყრობილმა, ლოცვა დაიწყო.

ის იყო ლოცვა გათავდა და ჩურჩულიც მისწყდა, რომ მქადაგებლის გვერდით გამოჩნდა მეორე კაცი. ხალხი ამასაც ისევე არ იცნობდა, როგორც პირველს. იგი არაფრით არა ჰგავდა მოხუც მქადაგებელს. ეცვა მოქალაქის ჩვეულებრივი ტანისამოსი; იგი ბუნებისაგან ყველაფრით დაჯილდოვებული იყო. სიცოცხლით სავსე ჭკვიანურის თვალებით ხალხს ზევიდან დაჰყურებდა.

— ძმებო და დებო, — შესძახა მან მაღალის ხმით: — მე მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ. ეს არის ეხლა მოისმინეთ ქადაგება, რომელმაც დაგამწვიდათ და გული მოგიღობოთ. მაგრამ, ერთი მითხარით, სადამდის გასტანს ეს თქვენი დამწვიდება? მხოლოდ თქვენი სახლის კარამდე, სადაც ხელახლა დაინახავთ სილარიბეს და სილატაკეს, შიშველ და ნახევრად მშიერ, გამხდარ შვილებს... თქვენ მოისმინეთ ქადაგება. ოცმა საუკუნემ განვლო, რაც ეს ქადაგება პირველად ითქვა გალილეიაში. მას შემდეგ დღით-დღე და სხვა და სხვა ჰანგზე ჰკვებავენ ხალხს ნეტარების დაპირებით, თუ იგი მწვიდი ღ თავ-დაბალი იქმნება, თუ ხმის ამოუღებლათ აიტანს ყველაფერს. დიად, მთელი ოცი საუკუნეა ჰპირდებიან მგლოვიარეთ ნუგემს, ხოლო მწვიდთ — დამკვიდრებას ამა ქვეყანასა ზედა. ამისთანა ქადაგებით მდიდარნი და ამა ქვეყნის მპყრობელნი აძინებდნენ ხალხს და ამყარებდნენ თავიანთ ბატონობას. კმარა ის, რაც იყო! დროა ბოლო მოეღოს ამ სიცრუეს, დროა შევიგნოთ ჭეშმარიტება!..

ხალხი შეჩოჩქოლდა. გაისმა გუგუნნი და ხმაურობა.

— გააგდეთ ეგ ღვთის-მგმობელი ეგა! — იძახდა ვილაც მოხუცი.

— არა უშავს რა, განაგრძოს. გავიგოთ ერთი რას იტყვის, წამოიყვირა მეორემ.

— სთქვას, სთქვას! აცალეთ! — დაიგუგუნა უმრავლესობამ ჭ ხალხის დამშვიდებისათნავე უცნობმა განაგრძო ლაპარაკი:

— მე გაგაცნობთ ახალ სახარებას, რომელიც ტანჯულ ხალხს უსამართლობისაგან იხსნის. გასწავლით ახალ სიმართლეს, რომელიც მშვიდ ცხვრებს მგლების წინააღმდეგ ვეფხვებად გადააქცევს, ხოლო თქვენ — მტრის დამმარცხებელ ამირანად.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჭალიდან მოისმა ბუღბუღლის ტკბილი, გულის გამამხიარულებელი სტვენა, ხოლო შორიდან დატვირთულ ურმის ჭრიალი. და აი მალლიდან გაისმა ახალი სიტყვა. იგი ურჩევდა ხალხს ქედის მოხრას, მონობას და მორჩილებას კი არა, არამედ ძალმომრეობის წინააღმდეგ გამკლავებას, ადამიანის შელახულ ღირსების აღდგენას, ძლიერთა ამა ქვეყნისათა დამხობას. უცნობი ამბობდა:

— **უბედურ-არიან** გლახაკნი სულითა, რამეთუ ურიგდებიან თავიანთ სილატაკეს და ხმას არ იღებენ უსამართლობის წინააღმდეგ. ისინი ვერ ეღიროსებიან სასუფეველსა ცათა შინა, რამეთუ არ არს „სასუფეველი ცათა“, გარდა სასუფეველი სიმართლისა. **ნებარ-არიან** უკმაყოფილონი თავიანთ სულიერ ჭ ხორციელ სილატაკისა ისინი, რომელნიც აღშფოთდნენ თავიანთ უვიცობისა და დამცირების წინააღმდეგ, რამეთუ ამისთანები დაიმკვიდრებენ სასუფეველს დედამიწაზე.

— **უბედურ-არიან** მგლოვიარენი, რამეთუ ცრემლები ამტკიცებს მათს უძლურებას, ბრძოლაზე ხელის აღებას. ნუგეში კაცმა ცრემლში კი არა, წინააღმდეგობაში ჭ ბრძოლაში უნდა ეძებოს. **ნეტარ-არიან** მებრძოლნი, რამეთუ არ სტირიან და არ საჭიროებენ ნუგეშობის-ცემას.

— **უბედურ-არიან** მშვიდნი, რომელნიც ძალმომრეობას მორჩილებით ეგებებიან! ისინი არასოდეს არ დაიმკვიდრებენ ქვეყანას, რამეთუ ქვეყანადიდი ხანია ხელთ ჩაიგდეს ამა სოფლის ძლიერთა და გაუმაძღართ, რომელთა გულიც ქვად იქცა, ხოლო გონება ტაციობაში ვარჯიშობს. მშვიდნი ამათგან მშვიდობის-მოყვარეობისთვის ვერაფერს ეღიროსებიან, როგორც ვერ ეღიროსება თავის დახსნას მშიერ მგლის ხელში ჩავარდნილი ცხვარი. **ნეტარ-არიან** გამბედავნი და ურჩნი, რამეთუ მხოლოდ ეს თავდადებული მებრძოლნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

— **უბედურ-არიან** მშიერნი და მწყურვალნი სიმართლისათვის, თუ არ მოიკლავენ წყურვილს ჭ ყველაფერს ღმერთზე მიაგდებენ, რამეთუ ისინი ვერასოდეს ვერ გაძლებიან. **ნეტარ-არიან** ყველანი, რომელნიც უსამართლობას გაუმკლავდებიან, რამეთუ გამარჯვება მხოლოდ ამათ მოელოთ.

— **უბედურ-არიან** მოწყალენი მტარვალთა,

რამეთუ ქვეყნად ბოროტებას ამრავლებენ. ყოველივე მოწყალეობა მზავგრელისადმი დაჩაგრულის ფეხ-ქვეშ გათელაა. ყოველივე წყალობა, რომელიც ჯალათს აღმოეჩინება, მსხვერპლის შეწირვა იქნება.

ნეტარ-არიან ისინი რომელთაც არ იციან მოწყალეობა მტარვალებისადმი და რომელნიც ემორჩილებიან მხოლოდ სიმართლის ხმას, რამე თუ არ საჭიროებენ მოწყალეობას.

— **უბედურ-არიან** მშვიდობის მყოფელნი, რომელნიც კმაყოფილდებიან თავიანთ დაფხრეწილ ტანისამოსით. უბედურ-არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ვერ ეღიროებიან ძედ ღვთისად წოდებას. ბრძოლას ბრძოლათვე უნდა გაუმკლავდეს ადამიანი, ძალმომრეობას—ძალით. აი ამ გვარია კანონი ცხოვრებისა და მომქმედ სიყვარულისა.

ნეტარ-არიან ისინი, რომელნიც არ ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე მაშინ, როდესაც მტრის უკუგდებაა საჭირო და პირფერობით არ ქადაგებენ მგლის და ცხვრის მეგობრობაზე. ნეტარ-არიან ისინი, რომელნიც ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამბოხების თესლსა სთესენ, რამეთუ ისინი ძედ სიმართლისად იწოდებიან.

— **უბედურნი ხართი თქვენ, თუ** დაუსჯელად დაგიწყებენ ღვენას, მასხარად აგდებას, სიმართლი-

სათვის ფეხ-ქვეშ თელვას. უბედურნი ხართ, თუ ასეთი დევნა არ შეგაერთებთ, თუ ერთმანეთს ძმურად ხელს არ გაუწვდით და სიმართლისათვის თავს არ გამოიდებთ. სასუფეველი ცათა დედა მიწაზე ეკუთვნის არა იმათ, რომელნიც ყველაფერს ითმენენ, არამედ იმათ, რომელნიც ბოროტებას და ჩაგვრას ვერ იტანენ. **ნებარ-არიან** ისინი, რომელთაც სიმართლისათვისაც-კი არა სურთ დევნა აიტანონ, რადგან სიმართლე არ უნდა იდევნებოდეს, არამედ ბრწყინავდეს, ვითა მზე, და ყველას თანაბრად უგზავნიდეს სხივებს და სითბოს!...

ასე ლაპარაკობდა უცნობი და იმისი სიტყვები ზარივით ისმოდა, ყველას გულსა ჰხვდებოდა. უცნობი მსმენელთ შიშს უღვიძებდა, განსაცდელს თვალწინ უყენებდა, მაგრამ ამავე დროს უკეთეს ცხოვრების იმედს აძლევდა არა იქ, საიქიოს, არამედ აქ, დედა-მიწაზე, მახლობელთა და მეგობართა შორის. მისმა ლაპარაკმა ყველა განცვიფრებაში მოიყვანა, ყველას აუძგერა გული.

ამ ქადაგების დროს ლამის წყვილიაღმა შავად შემოსა დედა მიწა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, დაბინდდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა და ისმენდა უცნობის ლაპარაკს. იგი ამბობდა:

— ებრძოლეთ ბოროტებას მთელის თქვენის ძალ-ღონით, ნუ დაერიდებით ნურაფერს, ყურს

ნუ დაუგდებთ იმათ, ვინც გეუბნებათ—მარცხენა ლოყა მიუშვირე, თუ მარჯვენაში გაგარტყეს. ესენი თავიანთის უგუნურობით მხოლოდ აორკეცებენ და აძლიერებენ უსამართლობას. შე გეუბნებით: **მტერს მტრულად უნდა დაუხვდეთ და ყოველ გამრტყმელს გარტყმითვე უნდა გასცეთ პასუხი**, ამით ფრთებს შეაკვეციანებთ ძალ-მომრეობას, ჩაგვრის ხალისს დაუკარგავთ მჩაგვრელს.

— ყურს ნუ დაუგდებთ იმათ, ვინც გირჩევთ: წინააღმდეგობას ნუ გასწევთ მაშინ, როდესაც გძარცვავენ და გყვლეფავენო, ან ვინც ჩაგჩიჩინებთ: როდესაც პერანგს გხდიან, შენვე გაიხადე დანარჩენი ტანისამოსი და გადაეციო. ყურს ნუ უგდებთ მათ, რადგან, ამას ამბობენ მძარცველთა მიერ მოსყიდულნი და დაყენებულნი, ან ისეთი კაცები, რომელთა გულიც გახრწნილია.

ამბობენ: „შეიყვარეთ მტერნი თქვენი ზე აკურთხებდეთ მავიწროებელთა და მღვენელთა თქვენთაო“. მე-კი გეუბნებით: **„შვიძულეთ მტერნი თქვენი ღიღისა სიძულვილითა, თუ ეს მტერნი ამავე ღრუს ჭეშმარიტებისა და სიმართლის მღვენელნი არიან“...**

— მაშ, შორს მოთმინება! აიღეთ თავი მალლა, რადგან თქვენთანა არს სიმართლე და, თუ

მოისურვებთ, თქვენთანვე იქნება ძალაც! ხომ გაგიგონიათ: „**ტანჯულნო და მავზრალნო მთელი ჭვეჟენისა, ზეერთდით!**“ გლენხნო და მუშებო, იარეთ ამ მცნების გზაზე! შეერთდით ერთ დიდ ლაშქრად და გამოდით ბრძოლის ველზე მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად!

გახსოვდეთ, რომ **პარტო ბრძოლით მოიპოვებთ უფლებასა თქვენსა!**..

